საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება № 01-11/36

ქ. ბათუმი „26" თებერვალი 2016

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №48 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №48 ბრძანებით დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის საშუალებებისა და საწვავის ლიმიტების ზღვრული ოდენობები. 2016 წლიდან შემცირდა სამინისტროს შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა და მოხდა საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ თანამდებობათა რიცხოვნობის ზრდა. ზემოხსენებულმა ცვლილებებმა გამოიწვია ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში ცვლილებების განხორციელების საჭიროება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ცვლილება შევიდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის საშუალებებისა და საწვავის ლიმიტების ზღვრული ოდენობების განსაზღვრის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №48 ბრძანებით დამტკიცებულ №1 დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (ქალაქი ბათუმი, გამსახურდიას ქ. №9) მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

სულიკო თებიძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი 1

აჭარის ავტომომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის საშუალებებისა და საწვავის ლიმიტები

№	დასახელება	მობილური ტელეფონის ბარათები		
		რაოდენობა	ლარი	სულ
1	მინისტრი	1	120	120
3	მინისტრის მოადგილე	4	60	240
4	დეპარტამენტის უფროსი	7	45	315
5	განყოფილების უფროსი	6	30	180
6	მინისტრის თანაშემწე (თამარ ჭანტურია)	1	30	30
7	მთავარი სპეციალისტი	32	10	320
8	ტექნიკური მუშაკი (მნე)	1	25	25
9	ტექნიკური მუშაკი	2	10	20
10	ტექნიკური მუშაკი (დამლაგებელი)	2	0	0
11	ტექნიკური მუშაკი (მძღოლი)	6	15	90
12	შტატგარეშე მოსამსახურე	4	10	40
	სულ	**66**		**1,380**
№	დასახელება	საქალაქთაშორისო კოდით სარგებლობა		
		რაოდენობა	ლარი	სულ
1	მინისტრის თანაშემწე (თამარ ჭანტურია)	1	20	20
	სულ			**20**
№	დასახელება	საწვავის ლიმიტები		
		რაოდენობა	ლიტრი	სულ
1	HYUNDAI SONATA-XJX-747 (ბენზინი)	1	500	500
2	HYUNDAI IX-35 AH-637-HA (ბენზინი)	1	230	230
3	SKODA OQTAVIA IJL 820 (ბენზინი)	1	180	180
4	SKODA OQTAVIA IJL 821 (ბენზინი)	1	180	180
5	MITSUBISHI L200 FXF 829 (დიზელი)	1	180	180
6	KIA CERATO SES 227 (ბენზინი)	1	200	200
	სულ			**1,470**